სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მიხეილ ჯინჯოლიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

ლევან მურუსიძე

თარიღი: 14.04.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის N1/161 განკარგულებით (ცვლილება შევიდა იმავე წლის 31 დეკემბრის N1/163 განკარგულებით) დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მისი სიმართლისმოყვარეობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები (6 ფაქტი) კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად.

მიხეილ ჯინჯოლიას რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის თავმდაბლობაზე, კეთილსინდისიერებაზე, პატიოსნებაზე, სიმართლისმოყვარეობაზე, პრინციპულობაზე, საქმის ერთგულებაზე.

გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც სამართლიან, პრინციპულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ პიროვნებას.

კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისას (ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში). საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად ან/და სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის დინჯი, ტაქტიანი, თავშეკავებული, შრომისმოყვარე და თავმდაბალი.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. პროფესიულ წრეში სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით.

კანდიდატი ინტენსიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროფესიულ საკითხებზე გამართულ შეხვედრებში/სემინარებში, რაც დადებითად აისახება მის პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე.

მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია განხილული საქმეების თაობაზე.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.

ე) ფინანსური ვალდებულებები

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მიხეილ ჯინჯოლია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.

საჯარო მოსმენისა მიმდინარეობისას კანდიდატმა სისხლის სამართლის მიმართულებით გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. აღნიშნულ სფეროს მიკუთვნებული თითქმის ყველა საკითხი განიხილა საკმაოდ ვრცლად, კვალიფიციურად და ამომწურავად. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხ'ზე, მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები ზოგადად სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე მისი პრაქტიკიდან. მიმაჩნია, რომ აქტიურად ეცნობა როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას. ვრცლად ისაუბრა და იმსჯელა დასმულ კითხვებზე: სამართლიანი სასამართლოს უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა), ამავე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი, სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსხვავება, ქურდული სამყაროს წევრობა და ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა მოცემულ დანაშაულთან მიმართებაში, არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის თავისებურებები და სხვა საკითხები.

ჩემის აზრით, კანდიდატმა შედარებით ზედაპირული და არასრული პასუხები გასცა კითხვებზე: დაზარალებულთა უფლებების შესახებ, ასევე, სამოქალაქო შეთანხმების თაობაზე.

საბოლოოდ მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში საფუძვლიანი და თვალსაჩინოა, რაც გასაუბრების პროცესმაც დაადასტურა.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მითითებული მახასიათებლიი კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ფასდება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი - აგრეთვე, მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მიხეილ ჯინჯოლიასთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი საკმაოდ ვრცლად, არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა პრობლემურ საკითხ'ზე.

წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას შეუძლია საფუძვლიანი და დამაჯერებელი მსჯელობა წერილობით. დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებს.

მიხეილ ჯინჯოლიას აქვს 4 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება ადმინისტრაციული სამართლის და სისხლის სამართლის მიმართულებით.

საჯარო მოსმენის შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და განავითაროს დასაბუთებული მსჯელობა საჭირო მიმართულებით.

გ) წერის უნარი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი და სხვა.

წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი წერილობითი მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, გამართულია გრამატიკულად და სტილისტურად.

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებობის უნარი.

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, ორგანიზებული, მიზანმიმართული, თავდაჯერებული და პასუხისმგებლობის შეგნების მქონე, შედეგზე ორიენტირებული პიროვნება.

საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელია - 100%.

მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელია - 100%.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელია - 96,3 %.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 5,3 საქმე.

ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან საპოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

მიხეილ ჯინჯოლია ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჩაბარებული აქვს საადვოკატო და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის მსმენელი. 2024 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად. საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებით კანდიდატს ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება.

ზ) პროფესიული აქტივობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლია აქტიურად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის ყველა მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მიხეილ ჯინჯოლია ჯაჭში შევაფასე 88 ქულით.

ლევან მურუსიძე

თარიღი: 14.04.2025